ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1887 კვირა, 4 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1887

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჩნაძის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-52 №-რი

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ბედიგანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვების და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. მ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 274. (წლ.)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე
იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 6—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ტურიაშვილი,
საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ბებია
ვ. მ. ლიმონი
ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—28)

მოსაწონი გამბედაობა

—

გუშინ ჩვენს მკითხველებს გავაცანით სომხურის „მშაკ“-ის საკუთარის თავის მხილება, იშვიათის გულ-წრფელობით აღიარება იმისა, თუ როგორ დაცემულია ზნეობით ერთი ნაწილი სომხის ერისა.

პატივი და სახელი იმ ერის შვილებს, რომელთაც ასე გაბედულად, უშიშრად, მოურიდებლად შეუძლიათ ჩაიხედონ თავის ერის სულსა და გულში, გამოაფინონ და გამოაშკარავონ მისი ყოველივე სიბილწე, სიგლახაკე, უზნეობა, რომელთაც შესწევთ სიმხნე სთქვან: აი, ჩვენ ასე დაცემულნი ვართ!

ნამდვილი სიდიადე და სამსახური ერის წინაშე სწორედ ეს არის. მხოლოდ ის ერი შეიძლებს წინ წავიდეს, რომელიც ასე გაშიშვლებულს ჰხედავს თავისს ნაკლულევანებას, ასე თვალ-ახელილი უყურებს თავისს წყლულსა და იარას. ჩვენ ვხედავთ ჩვენს ტკივილს, მაგრამ ვცდილობთ და იმედიც გვაქვს განკურნებისაო. და უნდა ჰქონდეს კიდეც სრული იმედი! ვინც ჰხედავს თავისს ბიწიერებას, იგი ეღირსება განსპეტაკებას. ვაი იმას, ვინც არ გრძნობს თავისს ავადმყოფობას, რადგან იგი დალპება და გაიხრწნება უხილავის იარებით და მუწუკებით!

ჩაგვიხედნია განა ქარველებს ჩვენს სულსა და გულში ასე როდისმე? დაგვინახავს ჩვენი მონური ყოფა-ქცევა, სულით დაცემულობა, ბეჩაობა, უხასიათობა? მწარე ბედმა გარყვნა და ზნეობით დასცა სომხების ერთი ნაწილი,—ვაჭრები, ჩვენ-კი ყველანი სპეტაკნი ვართ, პატიოსანს შრომას ვეწევით და წინ მივდივართ? სომეხი ვაჭარი გაიძვერა და მატყუარა იყო, მევახ'ე და განა ქართველი მემამულე გლეხის სისხლის მწოველი არ იყო? რამ გააგდო არსენა მთად და ველად? ან დღეს—გავბედოთ ვსთქვათ—ჩვენი თავად-აზნაურობის უმრავლესობა არ ადგია გადაგვარების გზას, არ გაურბის ქართულს თეატრს, ქართულს წიგნს, გაზეთს, ყველაფერს ქართულს? განა მისი მამული არ იკარგება და არ გადადის უცხო ტომის ხელში? როგორ სცხოვრობენ ახალგაზდა თავად-აზნაურები, მოსაწონად? არ არის გასაკიცხი ჩვენი სამღვდელოება, უნაკლულონი არიან ჩვენი ვაჭრები, ინტელიგენტები?

ჩვენ არაფერს არ ვხედავთ, არც იმდენი გამბედაობა გვაქვს, რომ აღვიაროთ ჩვენი ნაკლულევანება. თუ გავბედეთ 'და გაკვრით აღვნიშნეთ ჩვენი სიცუდე, უთუოდ დავუმატებთ მაშინათვე: სხვებს მაინც ვჯობივართო! წამ-და-უწუმ იმას გაიძახით მხოლოდ: უწარჩინებულესი ერი ვართ დედამიწაზე. დიდი რწმენა გვაქვს, უზომო იმედები! რისი, ვისი? ბ. ველიჩკოსი, პროტექციის, მოწყალეობის?

თუ საკუთარის თავის? მაგრამ საკუთარის თავის იმედი მხოლოდ იმას უნდა ჰქონდეს, ვისაც უცვნია თავისი თავი, დაუგმია თავისი ნაკლულევანება, შეჰბრძოლებია თავისს ბიწიერებას, გაუკურნებია თავისი იარები!..

გადამი

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. პოლ დე კასანიაკმა, რომელიც, სხვა მონარხისტებსავით, დიდი დამცველია სარწმუნოებისა, მეტად-გულმოსული წერილი დასტამბა თავისს გაზეთ „ოტორიტე“-ში ახლანდელ განათლების მინისტრის, შოვიეს, წინააღმდეგ. ჯერ იყო და კომბი ამოიღო მთელმა რეაქციამ ნიშანში, სამღვდელოების წინააღმდეგიაო. ახლა შოვიეს რიგი დადგა. რა მოხდა? ბევრი არაფერი: თურმე შოვიეს, თავისი შვილი დაუქორწინებია და ჯვარის წერა ყოფილა ეკკლესიაში. ჯვრის წერის ცერემონია'ს დასწრებია თვით უფროსი ვიკარი საეპისკოპოზოსი. აი ამ ფაქტ' აუღელვებია ბონაპარტისტი კასანიაკი. იგი ჯავრობს თვით შომიეზე და უშვერის სიტყვებით ლანძღავს მას. რატომ? იმიტომ რომ მან მიჰმართა სამღვდელოებას და ითხოვა ეკკლესიის კურთხევა მაშინ, როდესაც სამინისტრო, რომლის წევრია თვით შომიე, ასეთის სისასტიკით ექცევა სამღვდელოებას. შოვიე ან „მხდალია“, ან „ფარსის მოთამაშეო“. ფალიერი, სენატის საბჭოს თავმჯდომარე და განათლების მინისტრად ნამყოფი ჟორჟ ლეიგი, მოწმებად (მეჯვარედ) იყვნენ მიწვეულნი. კასანიაკი, რასაკვირველია, არც იმათ ინდობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: კასანიაკი თვით ეკკლესიასაც ზრახავს და ძალიანაც ზრახავს—სისუსტე გამოიჩინაო. მისის აზრით, ეკკლესიის მსახურთ უნდა პირი მისცენ ერთმანეთს და უარი უთხრან ხოლმე, საჭირო, ანუ უკეთ იმ ღვთის-მსახურებაზე, რომელიც

ფელეტონი

—

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

მუშტაიდისკენ გასეირნება.—სამხიარულო სურათი და მწარე ფიქრები.—პარტიების ბრძოლა თელავში და სხვაგან.—ბ. თათუზოვი, ბ. ნიკოლაძე და ფოთელი ნოქრები.—ჩერნომ. ვესტნიკი.—ახალციხელების ჰკუა.—წვრილი ამბები.

საღამოს ხანი იყო და მუშტაიდისაკენ მოვეშურებოდი; მინდოდა აზრები გამეცხოველებინა, ცივი ნიავი მომხვედროდა, ხალხი მენახა, მუზიკა გამეგონა.

ვაგონს შევხვდი, მთლად გაჭედილი იყო ხალხით. შევახტი და უკან გავჩერდი, იქ უკვე ოთხი კაცი იდგა, სუყველას ოფლი გვდიოდა და წამ და უწუმ ვიწმენდით პირის სახეს. ცოტა რომ გავიარეთ ერთი ახალი პასსაჟირი შემოგვემატა. ძველი გახუნებული ჩოხა ეცვა, მისი წაღები ათ ალაგას კი იყო დაკერებული, თავზე დაჩინჩული ცხვრის ქუდი ეხურა. მოწიწებით შემოადგა მთლად ერთიან გამტვერული ფეხი და ჩემ წინ აიტუზა. ოფლი ისე სდიოდა, როგორც წყალი, თეთრი ჩითის ახალუხი მთლად გაეშავებინა ოფლს. ძლიერ დაღლილი იყო და ძლივს ითქვამდა სულს ბევრის სიარულისაგან. ხელში ძველი დავთარი ეჭირა პაკეთებით, ეტყობოდა, რომ რომელისამე დაწესებულების წერილების დამტარებელი იყო. იქნებოდა ასე 45—50 წლის კაცი, სახის გამომეტყველება ისეთი ჰქონდა, რომ ადამიანს ეგონებოდა, ორმოცდა ათ ფუთიანი ტვირთი აწევს მხრებზეო.

როგორც კი გაჩერდა ჩემ წინ და მეცა საშინელი, დამპალი ოფლის სუნი, თითქოს რაღაცა ზიზღი ვიგრძენი მისდამი. „რათ უშვებენ ასეთს ბინძურს ადამიანს ვაგონშიო“, გავიფიქრე: „რა საძაგლობაა! თითქოს განგებ მოიწევა ჩემსკენ, რომ უფრო მაგრძნობინოს თავისი ოფლი!“ გაბრაზებული ჩავაცქერდი კისერში, მინდოდა ხელი მეკრა და გადამეგდო ვაგონიდან... უცებ მოიხედა ჩემკენ, თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრებს, მისი თვალები მისაყვედურებდენ და მომეჩვენა, თითქოს მას უნდოდა ჩემი გადაგდება ვაგონიდან. მე უკან დავიხიე, შემრცხვა და თანაც შემეშინდა; მაშინათვე გადავხტი ვაგონიდან...

—

მუშტაიდში ბევრი ხალხია. ყველანი მხიარულობენ. მუზიკა უკრავს და მის გარშემო გაცხარებული სეირნობაა. ზოგნი სხედან და ტკბილს ხმას შორს გაუტაცნია მათი ოცნება, ზოგნი ბუფეტის წინ სტოლებს შემოსხდომიან და გემრიელად შეექცევიან საჭმელს თუ სასმელს; ზოგიერთები შორს გასულან და მიყრუებულად სიყვარულის ენით ესაუბრებიან ერთმანეთს; აგერ ყმაწვილები ხარხარებენ, არშიყობენ, თამაშობენ და წმიდა ცხოველურის, ბუნებრივის სიხარულით სტკბებიან; იქ კიდევ ვიღაცას მოელიან, აქ მეგობრულად საუბრობენ. ყველგან სიცილი და მხიარულობაა. აქ არ არის მოწყენილობა; თითქოს ყველაფერი მთვრალია, თამაშობს, ხტის, სადღაც მიჰფრინავს. აი დაუკრეს „კარმენის“ ხმა და რაღაც ველური წყურვილი იტაცებს ყველას სავსე ცხოვრებისაკენ: მხიარულობა უსაზღვროთ, ყველაფრის დავიწყება, მხოლოდ თამაში, თამაში გაუთავებელი!

ვალპურგიის ღამეს მოაგონებს ადამიანს ეს სურათი თავის მხიარულობით, მაგრამ მწარეა მაინც ეგ სურათი, სამწუხაროა, ცრემლებით და სისხლით არის სავსე! განა ეს სურათია კაცობრიობის ცხოვრების? მხიარულობენ,—ვინ?.. ყველანი აქ არიან?..

მე დავსეირნობდი ჩაფიქრებული. რაღაც მაკლდა თვალში, ვიღაცას დავეძებდი... მომაგონდა გაოფლიანებული კაცი. ნეტავ სად არის ახლა იგი? ვინ იცის ეგებ რიცხვ-მრავალი ოჯახი ჰყავს, დღე-ღამე აქეთ იქეთ დარბის და ძლივს ღებულობს 12—15 მანეთს ჯამაგირს, მისი ცოლიც ალბად მოუსვენრად მუშაობს, მაგრამ მაინც ნახევრად მშიერები არიან... აქ ხომ არ იქნება? ვკითხე ჩემს თავს და შემეზარა ჩემი თავი ასეთის სულელურ კითხვისათვის...

კვლავ მოისმა კარმენის მომჯადოვებელი ხმა: ცეკვავს, იცინის, მღერის; თითქოს ყველას ეძახის: მოდით, მოდით, იმხიარულეთ, იმხიარულეთ სიკვდილამდისო!

მერე რათ არ მოდიან და არ მხიარულობენ ყველანი?

—

ეს, მკითხველო, ზღაპარია; ქალას ჩიტი ჩამკვდარია; დიდს ქვაბში არ ჩაეტია, პატარაი არსად იყო. ჩვენი გაზეთი არც დიდი ქვაბია და არც პატარა, ამიტომ ამისთანა ზღაპრებს ვერ ჩაიტევს. აქ დიდი წერტილი დავსვათ.

„მემარცხენენი ძალიან გამაგრდნენ; სასტიკი ბრძოლაა მოსალოდნელი; მმართველობა (გამგეობა) ალბად თავს დაანებებს სამსახურს, რაიც საერთო განხეთქილებას გამოიწვევს.“ არ გეგონნათ ეს დეპეშა ევროპის რომელისამე ქალაქიდან მოგვსვლოდეს. არა, ჩვენის თელავიდან მოგვივიდა და შეეხება არა სამინისტროს, არამედ თელავის ბიბლიოთეკის გამგეობას და მის ოპოზიციას. რამდენიმე თვეა, დიდი ამბები ჰხდება კახეთის დედა-ქალაქში: მთელი პარტია ბრალსა სდებს ბიბლიოთეკის დღევანდელ გამგეთ,—წიგნები გაკლიათ, ფულები გაგიფლანგავთო, საქმეს გულ-გრილად ეკიდებითო დ სხ. გამგეთაც თავისი პარტია ჰყავთ თურმე და არის მთელი თელავი ორს ბანაკად გაყოფილი. იმართება მიტინგები—სადილები, ვახშმები, ჩაის სმა და ღვინის სმა, არის სჯა-ბაასი, დავობა, დავი-დარაბა; ქალიშვილები დიდის ინტერესით უსმენენ ახა-

ჩვეულებად გადაქცევია ყველას, მორწმუნეს, თუ ურწმუნოს. მაგრამ მღვდლები უფრო ჭკვიანები არიან და კარგად იციან, რომ ამის გულისთვის ხალხი თავს არ შეიწუხებს და ძალიან ადვილად შეელევა მათ სამსახურს. კასანიაკს ჰგონია, რომ ამგვარი გაფიცვა სარგებლობას მოუტანს და თანაგრძნობას მოუმატებს სამღვდელოებას, და ის კი ავიწყდება, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი საფრანგეთის ხალხისა ჯერ დღესაც სახლში არ გააწანწალებს მღვდელსა და არც მისს სამსახურს ჰსაჭიროებს. ორი დიდი აქტი,—ჯვრის წერა და დამარხვა, საფრანგეთში ძალიან კარგად ხერხდება მღვდლის დაუსწრებლად. ჯვარის დაწერა შეიძლება მერიაში (ქალაქის საბჭოში) და ამისთვის სრულიად საკმარისია, რომ მომავალმა ცოლ-ქმარმა თანხმობა გამოაცხადოს მერის წინაშე. შემდეგ ეს განცხადება ჩაიწერება წიგნში, მოწმები ხელს მოაწერენ და ცერემონია გათავებულია. სიკვდილის საქმე ხომ კიდევ უფრო გაადვილებულია. თუ ქორწილს მოწამე სჭირდება, სიკვდილისთვის ესეც არ არი საჭირო. ანდერძის აგება და მირონ-ცხება მომაკვდავისთვის სრულებითაც არ არის აუცილებელი. ადამიანი უამისოდაც კარგად მოკვდება.

მაგრამ „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“ და აი სწორედ ამიტომ ხშირად ეს ჩვეულება ისეთ „პროტექციას“ უწევს სარწმუნოებას, რომ თვით თავისუფალ-მოაზრენიც ზოგჯერ უნებლიეთ უთმობენ მას და თავს სალაპარაკოდ იხდიან. ასეთივე საქმე დაემართა გამოჩენილ სოციალისტს ჟორესს, რომელსაც ცოლი უკიდურესი მორწმუნე კათოლიკე ჰყავს. რეაქციონერებმა გაიგეს, რომ ჟორესის ქალი-შვილი თურმე მონათლული ყოფილა და დაჰკრეს ბუკი და ნაღარა. ჟორესმა ბევრი იმართლა თავი, (უნდა ვსთქვათ აქვე, რომ მას „ჩვეულებით“ არ აუხსნია ესა), ბევრი მჭერ-მეტყველება დაჰხარჯა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა და ბევრზე ცუდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. რასაკვირველია, თვით ჟორესისათვის მონათვლას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, მაგრამ მტრებმა სხვა გვარ ისარგებლეს ამით და, კასანიაკი'ა არ იყოს, სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ვინც კლერიკალიზმის და სამღვდელოების წინააღმდეგ ჰქადაგებს, ის მხოლოდ ხალხს ატყუებო. გაზ. „ტან“-ი კასანიაკს კვერს უკრავს, როცა ირონიულად სწერს: „როდესაც მინისტრი, რადიკალი (იგულისხმე: შოვიე), ეკლესიას სთხოვს თავის შვილისათვის ლოცვა-კურთხევას, ეს მინისტრი მაშინ მხოლოდ ჩვეულებას ემორჩილება, რომელსაც მისს მახლობელთათვის თითქმის მოვალეობის აზრი აქვს. ამ დროს იგი თავის თავზე სცდის, თავისს საკუთარ ოჯახში ჰხედავს, თუ რამდენი ძალა შერჩენია რელიგიურ რწმუნებებს, რომელთ წინააღმდეგ ასე წინ-დაუხედავად გაილაშქრეს. თუ უკიდურესი მოწინავე გაზეთები ამას ისე უყურებენ, როგორც გამამხნევებელ შესავალს სარწმუნოების წინააღმდეგ დიადი ომისას, სამაგიეროდ რადიკალები, რომელთაც იმდენი ანტიკლერიკალური ენერგია არ შესწევთ არც თითონ და არც მათ მახლობელთ, რომ სიკვდილი იქნება თუ დაბადება, მღვდელს შეელიონ, მაშინ, როდესაც ის ომი ასტყდება, ყოყმანს დაიწყებენ და მხარს ვერ დაუჭერენ სექტანტებს“ (ე. ი. სოციალისტებს და სხვ...). იმედი კარგი საქონელია, ხოლო საკითხავია, ეხლანდელი რადიკალები მაშინაც ისევ ის ცრუ-მორწმუნე რადიკალები იქნებიან, როცა „ის ომი ასტყდება“?

ინგლისი. შესამჩნევი ცვლილება ახალ სამინისტროში უკვე გვქონდა აღნიშნული: ფინანსთა მინისტრის ჰიკს-ბიჩის სამსახურიდან გამოსვლა. მისს ადგილს დაიჭერს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი რიტჩი. მის შესახებ გაზ. „დეილი ნიუს“-ი შემდეგს ამბობს: „რიტჩი კეთილი, საიმედო და გამჭრიახი კაცია, ცუდი ორატორი, მოხერხებული საპარლამენტო მოღვაწე, როდესაც საქმე მეორეხარისხოვან კანონ პროექტს შეეხება, მაგრამ ისეთი სახელმწიფო კაცი კი არ არის, როგორც ჰიკს-ბიჩი, რომელიც ბევრ საქმეში საუკეთესო ორატორი იყო და საუკეთესო საიმედო ძალა სამინისტროსი“.

შინაგან საქმეთა მინისტრად აკერს დუგლასი დაინიშნა. ლორდ ვინძორი—საზოგადო სამუშაოთა & შენობათ პირველ კომისარად. ლონდონდერრი—განათლების დეპარტამენტის პრეზიდენტად. აუსტინ ჩემბერლენი—ფოსტის უფროსად. უინდგემი, რომელიც ირლანდიის საქმეთა მინისტრად იყო, კაბინეტში დაიჭერს ადგილს და გრაფი დედლი ინიშნება ირლანდიაში მეფის მოადგილედ, ასე რომ კაბინეტის წევრად აღარ იქნება.

ახალი ამბავი

◆ საერო განათლების სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს **პროგრამა და გაკვეთილების განაწილება**, რომელიც შემოღებული უნდა იქმნას საშუალო სასწავლებლებში **ამ სამოსწავლო წელს**. ოლქის მზრუნველმა ამის შესახებ განკარგულება მოახდინა თავის ოლქში.

◆ ორ აგვისტოდან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობის აღსრულებას **შეუდგა ბ. შენგერი**.

◆ ტფილისის გუბერნატორს გორის მაზრის უფროსისაგან მოუვიდა დეპეშა, რომლითაც აუწყებს, **თ. სვიმონ ვეზირიშვილის მკვლელი შეპყრობილ იქმნაო.** მკვლელი აღმოჩნდა ხიზანი-ოსი, რომელიც განსვენებულს გადაუსახლებია თავისს მამულიდან.

◆ 2 აგვისტოსათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნული იყო სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც **საგლესით ღვინის** შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა მინდობილი. რადგან სხდომა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა, იგი 19 აგვისტოსათვის გადაიდვა.

◆ „ბლაუსა და ამხ.“-ის სატეხნიკო კანტორამ, რომელიც პეტერბურგშია, შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, თუ გამგეობას არ დაუმთავრებია განხილვა **ქალაქის ელექტრონით განათების** საქმისა, კანტორა ახლო მომავალში წარუდგენს თავისს პროექტს და პირობებს ქუჩის ელექტრონით განათებისას.

◆ 2 აგვისტოს საღამოთი **დიდი წვიმა მოვიდა ტფილისში.** ბევრს ქუჩაში თმელი მდინარეები გაჩნდა. ამაღლების ქუჩაზე იმდენი სილა და ქვა ჩამოიტანა წყალმა, რომ შეუძლებელია გავლა. გუშინ პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, გაგზავნოს მუშები ამ ქუჩის გასაწმენდად. ასევე ქვითა და სილით აივსო მოსკოვის ქუჩა, კალიუჩი ბალკა და სხვ. დიდის წვიმისაგან დაზარალდნენ აგრეთვე მეტივენი: მოსტაცა ტივები და ხეები.

◆ გუშინწინ ბათუმიდან ტფილისში ჩამოვიდა სამსახურის საქმეების გამო ბათუმის ქალაქის თავი თავ. **ანდრონიკაშვილი.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 2 აგვისტოს უკვე დაამთავრა ქალაქის 1903 წლის შემოსავლის **აღრიცხვა და განხილვა.** მალე გამგეობა ხარჯის აღრიცხვას შეუდგება.

◆ **ნაძალადევის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ** საქართველოს ეგზარხოსის წინაშე ნაძალადევში ეკლესიის აგების შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად შუამდგომლობა, რომლითაც თელავის თვით-მმართველობა თხოულობს, რომ ნება მიეცეთ დააწესოს **გარდასახადი ქალაქში მორეკილ საკლავ საქონელზე და აგრეთვე ხორცის მიკროსკოპიულად გამოკვლევაზედ.** თელავის თვითმმართველობის მოხსენებით, უნდა დაწესდეს: ათ-ათი შაური დაკლულ ღორის მიკროსკოპიულად გამოკვლევაზე, 20 კაპ. ვიჩინაზე და 10 კაპ. გოჭზე. ხოლო ბაზარში მორეკილ სხვილ-ფეხა საქონელზე 10 კაპ., წვრილ-ფეხაზე—5 კაპ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა ბ. ს. ბაბოვის ნაცვლად ტფილისის 1 ნაწილის სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის **უფროს შედამხედველად** დანიშნოს სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ბარაბაშევი.

◆ ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი ერთის თვით სამსახურისაგან განთავისუფლებულ იქმნა. იმის თანამდებობის აღსრულება დაევალა ექიმს ბ-ნს თარხანოვს.

◆ გუშინ, 3 აგვისტოს, პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გაჰგზავნოს ქალაქის ხურთო-მოძღვარი ალექსანდრე დანდუროვისა და სხვათა სახლების შესამოწმებლად.

◆ ივლისის განმავლობაში ტფილისის საქონლის ბაკში გასასყიდად მოურეკიათ 6130 მსხვილ-ფეხა საქონელი; აქედან გაუყიდნიათ 5226; წვრილ-ფეხა საქონელი-19,584, გაუყიდნიათ 18221. ბაკიდან ქალაქს შემოსვლია 1592 მან. 20 კაპ.

◆ 30 ივლისს ტფილისის მაზრის სოფელ გოუბანის მცხოვრები გიორგი ჩომახაშვილის შვილი მკვდარი უნახავთ თავისს ბინის მახლობლად. ჩომახაშვილი დაჭრილი იყო ტყვიით გულში, მარცხენა ძუძუს ქვემოდ.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს რიგის ქუჩის მოსახვევის მოსაკირწყლავად.

◆ 2 აგვისტოს წყალი ჩაუვარდათ უდელნის ქუჩაზე ტერ-პოღოვის სახლში ერთ მდგმურს და რომ ხალხი არ მიშველებოდა დროზედ, შიგ ამოიხრჩვებოდა ერთი საწყალი წყლის გამყიდავი თავის ცოლშვილით. იმ ადგილას მოსალოდნელია, მეორედაც მოხდეს ასეთი საქმე და ერთი უბედურება დატრიალდეს, ისეა სახლის ფანჯრები გამართული. საკვირველია, რად უშვებს სახლის პატრონი იმისთანა ადგილას დგმურს, ან რატომ სხვა ვინმე არ აქცევს ამას ყურადღებას?

◆ 1 აგვისტოს ტფილისის სადგურზედ გაუფრთხილებლობისა გამო, მატარებელს ქვეშ მოჰყვა ვიღაც მიხაილოვის ქალი. მატარებელმა ზედ გადაუარა და გაჰყლიტა. მიხაილოვისა ამ მატარებლით მოელოდა ქმარს, რომელიც ოთხი წელიწადი არ ენახა. მატარებლის მოსვლისას გაქანებულა, მაგრამ უცაბედად თვლებს ქვეშ ჩავარდნილა

ქუთაისის ახალი ამბები

◆ სწორედ მშვენიერი ადგილი ამოირჩია წყლის გამყვან ამხანაგობის გამგეობამ უმთავრესს აუზისათვის: მთელს ქუთაისს ისე დაჰყურებს, როგორც ხელის გულს. აუზში დაეტევა 150,000 ვედრო წყალი. ამ ჟამად ასამდის მუშა ახვევია საქმეს. დილის ექვსის საათიდან საღამოს შვიდ საათამდის მუშაობენ. საუზმისა და სადილისათვის ორ საათნახევრამდის თავისუფლება აქვთ. საღამოს, ვისაც ჰსურს, ფულს იღებს, ვისაც არა, სტოვებს და შემდეგში ერთად მიიღებს. ამხანაგობის პროექტის დამტკიცებიდან, რომელიც ამ წლის ივნისის ბოლო რიცხვებში მოხდა, ორის წლის ვადა აქვს წყლისაყვანის დასამთავრებლად, მაგრამ, როგორც ამბობენ, ერთი წლის განმავლობაშიაც მოაგვარებენ საქმეს და ქალაქის ბაღსა და უმთავრესს ქუჩებში მაინც გაიყვანენ წყალს.

◆ ქალაქის გამგეობის წევრი გრ. ი. გველესიანი ჩამოვიდა აბასთუმნიდან და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ ქუთაისის ქალაქის თავი დ. ა. დოროთქოფანიძე, რომელიც ამ ზაფხულში ერთის თვით სააგარაკოდ აპირებდა წასვლას, გამგეობის მეორე წევრის ჯერ კიდევ დაუმტკიცებლობის გამო, ვეღარ მიდის; მხოლოდ რამდენისამე დღით წავიდა თავისს სამშობლო სოფელს დიდ-ჯიხაიშს.

ლგაზდა ორატორებს, დიასახლისები თავ-გამოდებით ამზადებენ ნაზუქებს; ყველანი მოუთმენლად მოელიან საზოგადო კრებას, რომელიც მალე მოხდება და რომელსაც საგანგებო კომისიამ უნდა მოახსენოს რევიზიის ანგარიშები. ვნახოთ, ვინ დამარცხდება: მემარცხენენი გაიმარჯვებენ, თუ ისევ მემარჯვენეთ დარჩებათ ხელში დროშა. ორივე პარტიას იმედი აქვს, გავიმარჯვებთო! ორივე პარტიას უკვე გამოუწერია ტფილისიდან მაშხალები და წინდაწინვე ჩაუცივებია კახური ღვინო, რომ დიდებულად იდღესასწაულონ გამარჯვება.

ბრძოლა ბიბლიოთეკისათვის მარტო კახეთში არ არის. მაგვარივე ბრძოლაა გამართული ხონში, ყვირილაში და სხვაგან. ყველგან ბიბლიოთეკა გადაქცეულა საზოგადო ცხოვრების ასპარეზად, ადგილობრივ პარლამენტად. ბიბლიოთეკის გარშემო არსდება პარტიები, ბიბლიოთეკის კრებისათვის მზადდება სიტყვები, იმართება ინტრიგები, დუელი, ათასნაირი შეტაკება და სხვ.-და-სხვ. ძალიან გამწვავებულია ბრძოლა იმერეთში. სადღაც (არ გვახსოვს კარგად) ქმარს თავისი ცოლი გაუგდია, რადგან მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნოდა; ყვირილაში ერთმა მამამ თავისი ქალი არ მიათხოვა ყმაწვილს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა პარტიის წევრი იყო. ყვირილაშივე ახალი კანონის შემოღებაც კი უნდათ, რომ შეზღუდონ როგორმე მოწინააღმდეგე პარტია. იმერეთში, ძველის ჩვეულებისამებრ, „დონოსებსაც“ მომართავენ ხოლმე...

ვინ გაამტყუნებს ჩვენს პროვინციელებს! განა მათი ბრალია, რომ უფრო ფართო მოღვაწეობა და ცხოვრება მათთვის დახშულია?

—

თელაველებს მაინც თამამად შეუძლიანთ ბევრი დრო მოანდომონ ბიბლიოთეკის საქმეს, რადგან ისეთი გენიოსი მამასახლისი (ქალაქის თავი) ჰყოლიათ, რომელიც სხვა ყველა საქმეს თვითონ განაგებს მარტო: მარტო ჰფიქრობს და სწყვეტს ყველას მაგიერ, მარტო აკეთებს და ზრუნავს. აი, მაგალითად, შეკრებს თურმე ქალაქის რწმუნებულთა, მოახსენებს რამე საგანს, მაგრამ მათ მაგიერ თვითონ იძლევა პასუხს—ასე დავადგინოთო, და რწმუნებულნიც ძალა-უნებურად ეთანხმებიან: დიაღ, მაგრე ემჯობინებაო. ისეც მოხდება ხოლმე, რომ მამასახლისი რწმუნებულთა შეკრებამდის დაამზადებს რამე გადაწყვეტილებას და მერე „დაითანხმებს“ მათ და ხელს მოაწერინებს.

სპეციალიზაციაც ამას ჰქვიან! რა საჭიროა, მართლა, რომ ყველამ იფიქროს?!. როდესაც ყველანი ჰფიქრობენ, მეტი შრომაა, მეტი ხარჯი, მეტი უთანხმოება. როდესაც ერთი სწყვეტს საქმეს, მაშინ კი ყველაფერი წესიერად ჰხდება... ძალიან ჭკუიანი კაცი ყოფილა ბ. თელაველი მამასახლისი. განა მაზედ უფრო ბრძენი იყო ის, ვინც ამბობდა—მხოლოდ ერთმა სჭამოს სხვების მაგიეროო?

თელავის მამასახლის უთუოდ ფოთის ქალაქის თავის სახელი შეშურდა. გაუგონია დიდი კაციაო, მოდი, მეც ვიდიდ-კაცებო. მაგრამ quod licet iovi, nonlicet bovi. ნიკოლაძე—ნიკოლაძეა, თელაველი მამასახლისი-კი თათუზოვია. ახლა, მაგალითად, ბ. ნიკოლაძე უცხოეთში წავიდა საბანაოდ და საგრილებლად, ფოთელ ნოქრებს კი დაუბარა: სიცხეს არ შეუშინდეთ, დღე-ღამ იმუშავეთ, კვირა-უქმეც არ მოისვენოთო,—და თათუზოვმა უნდა წაჰბაძოს ბ. ნიკოლაძეს? მთა-და-ბარი ვის გაუსწორებია!

ნიკოლაძე—ნიკოლაძეა, თათუზოვი თათუზოვი და ნოქრები კიდევ ნობრები.

—

ეს მართალია და მართალია ისიც, რომ ფოთელ ნოქრებს უბედური ბედი ჰქონიათ. ჯერ იყო და იმას ჩივოდნენ: მოგვხედეთ, ნუ მოგვკალით, კვირაში რამდენიმე საათი მაინც მოგვასვენეთო. ისმინეს ნოქრების ვედრება და გამოვიდა განკარგულება, ვისგანაც ჯერ იყო: დაიკეტოს კვირა-უქმე დუქნები დილიდან თორმეტ საათამდისო. გაეხარდათ ნოქრებს, დიდი მადლობა მოახსენეს ქალაქის ხმოსნებს მათის ლიბერალობისათვის. ხმოსნები-კი გულში იცინოდნენ ჩუმად და მალეც გამოაშკარავდა მათი სიცილის მიზეზი. თურმე დუქნების დაკეტვა იმიტომ კი არ შემოიღეს, რომ ნოქრებისთვის მოსვენება მიეცათ, პირიქით მათი დასჯა უნდოდათ ამით: როგორ გაბედეს და მოსვენება მოითხოვესო! უწინ თუ კარ-ღია დუქნებში იყო ვაჭრობა კვირაობით, ეხლა „ხაზეინები“ დაკეტენ დუქნებს, ჩაჰკეტენ შიგ ნოქრებს და ასე დახშულ ჰაერში ამუშავებენ. სული ხდებათ საბრალო ნოქრებს, ამ სიცხეპაპანაქებაში დაკეტილში რომ სხედან და ვაჭრობენ, ყვირიან: არ გვინდა მოსვენებაო! მაგრამ რა ქნან, რომ ფოთის ქალაქის თავი ეხლა შორს არის და მათ ხმას ვერ გაიგონებს?!

—

მოითმინეთ, ბ. ნოქრებო! მოითმინეთ! თქვენ გაუნათლებელნი ხართ, არ იცით რას ამბობს მეცნიერება, რას მოითხოვს საზოგადო ინტერესი, ბუნების კანონი, აი ერთი გერმანელი ისტორიკოსი ტრეიჩკე სწერს, რომ ბედნიერება და მოსვენება სულ მცირე რიცხვის ხვედრიაო, უმრავლესობა-კი სულ ოფლში უნდა იწურებოდესო...

ბ. ტრეიჩკე მარტო არ არის ასეთის აზრის; მისი სრული მომხრეა, შორს რომ არ წავიდეთ, აი ჩვენი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“. მკითხველო, იცნობთ ამ გაზეთს? ეგებ მხოლოდ სახელად გაგიგონიათ და კი არ კითხულობთ. უთუოდ წაიკითხეთ ხოლმე ხანდა-ხან მაინც. ეს ძვირფასი ნაყოფია ჩვენის ბედნიერის ცხოვრებისა! თუ გინდათ დაინახოთ ჩვენი სისაწყლე, სიგლახე და ბეჩავობამ, ჩაი-

რუსეთის ქრონიკა

✦ ოფიციალური გაზეთი „სარატ. გუბერნ. ვედომ."-ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს.

სოფ ხოვანშჩინში (სარატოვის გუბერნიაშია) ერთ გლეხს, რომელიც სოფლელებს რწმუნებულად აურჩევიათ სასყიდ ადგილის გამოსაძებნად, ხმა გაუვრცელებია, რომ ისეთი საბუთის ქაღალდები აღმოვაჩინე, რომელთა წყალობითაც მეზობელ მემამულეს მიწა-ადგილს სულ ჩამოვართმევთო. ყველას ეუბნებოდა გლეხი, რომ ამ ქაღალდებს განსაკუთრებულ სკივრში ვინახავო. ადგილობრივ ურიადნიკს, გაუგია თუ არა ეს ამბავი, ხელთ ჩაუგდია ის ყუთი, რომელზედაც გლეხი ლაპარაკობდა. ამავე საქმის გამოსარკვევად სოფელში მისულა ბოქაული, მაგრამ გლეხები რიგიანად არ დაჰხვედრიან, ზოგნი დასცემიან კიდეც ბოქაულსა და მამასახლისს და ძლიერ უცემნიათ ისინი. მეორე დღესვე სოფელში მისულან გუბერნატორი ა. პ. ენგელგარტი, პროკურორი, ჟანდარმის პოლკოვნიკი და ქვეითა ჯარის რაზმი, ხოლო ცოტა ხანს უკან —ყაზახები. შეკრებილ გლეხებისათვის გუბერნატორს აუხსნია მათი ცუდი საქციელი და უთქვამს, სასტიკ პასუხისგებაში მივცემთ იმას, ვინც წინააღმდეგობას გასწევს და არ დაემორჩილება ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამწესებულ მოხელეებსაო. ამასთან გუბერნატორს უბრძანებია, დაეპატიმრებინათ ისინი, ვინც დანაშაულობაში იქმნენ შემჩნეული. დაპატიმრებულნი დაუმწყვდევიათ განსაკუთრებულ სადგომში, რომლისთვისაც დარაჯნი მიუჩენიათ. ბრბო ქუჩაში დარჩენილა. ზოგიერთი ამ ბრბოდან გაიძახოდა, რომ ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავენიო. შემდეგ გუბერნატორს გამოუცხადებია, დაიშალენით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარს ვუბრძანებო. ზოგნი წასულან, ზოგნი კი იქვე დარჩენილან, მაგრამ გუბერნატორის ბრძანებით ისენიც მალე გაურეკიათ. ამით გათავებულლა ეს საქმე. გაზეთი დასძენს: გლეხებმა იგრძნეს თავიანთი დანაშაული და გამოძიების დროს მწუხარებას აცხადებდნენ ყოველისავე მომხდარისა გამო. საიდუმლო სკივრში მნიშვნელოვანი არაფერი აღმოჩნდა. საბუთის ქაღალდების ნაცვლად, სკივრში უბრალო წიგნები და ქაღალდები ეწყო თურმე.

იმავე ოფიციალურ გაზეთის სიტყვით, მეორე ასეთი ამბავი მომხდარა სოფელ ვლადიკინში. ქ-ნ ოლსუფიევთან მისულან ამ სოფლის გლეხები, რომელთაც გადაუციათ თავიანთი განაჩენი და უთქვამთ, მიწა იჯარით უნდა მოგვცე იმ ფასით, რა ფასიც მაგ განაჩენშია აღნიშნულიო. ამასთან დაუმატებიათ: ამ განაჩენს უეჭველად ხელი უნდა მოაწეროთ, რადგანაც ასეთია კანონიო. ქ-ნ ოლსუფიევს უთქვამს, რომ ასეთის კანონის შესახებ არა ვიცი-რა, არა გამიგონია-რა, ხოლო თუ არის ამ ნაირი კანონი, ავასრულებ, მაგრამ ეს განაჩენი ჯერ საერობო უფროსმა უნდა დაამტკიცოს და მაშინ დავიჯერებ, რომ მართალს ამბობთო. გლეხებს უთქვამთ, ჩვენ უმაგ უფროსოდაც კარგად ვიცით ეს კანონი, ამიტომ ხელი უნდა მოაწეროთ განაჩენსაო. ამასთან ზოგნი დაჭმუქრებიან მემამულეს. ქ-ნ ოლსუთიევს გაუმეორებია თავისი სიტყვები და დაუმატნია, თუ საერობო უფროსთან არ გინდათ წასვლა, აქაურს მღვდელს დაუძახეთ და თუ იმან შეამოწმა ასეთის კანონის არსებობა, მეც ხელს მოვაწეროო. ამის შემდეგ გლეხები დაშლილან. მალე სოფელში მისულან გუბერნატორი ა. კ. ენგელგარტი და ყაზახები. გუბერნატორისბრძანებით, თავი მოუყრიათ სოფლელთათვის, და უთქვამს: კარგად ვიცი, რომ ეს ტყუილი ამბები თქვენ თითონ კი არ მოიგონეთ, სხვა-და-სხვა გაიძვერა კაცებმა გადმოგცესთ, რომელნიც განგებ ატყუებენ და აცდენენ ხალხს. თქვენ ყური არავის არ უნდა ათხოვოთ. იცოდეთ, რომ ყოველი კანონი და ბრძანება ხელმწიფისა მე მომდის და ჩემის განკარგულებით ამ კანონებს ხალხს ატყობინებენ მოხელენი და არა გარეშე კაცები. განა, თქვენ არ იცით რად გატყუებენ, რად გაბრიყვებენ და ტყუილს გეუბნებიან? რუსეთი დიდია და ძლიერი, ამიტომ ბევრი მტერი და მოძულე ჰყავს, რომელნიც სცდილობენ ჩვენ სამშობლოში შფოთისა და უკმაყოფილების ჩამოგდებას. თქვენც ამიტომ გაბრიყვებენ. ეს ვაჟბატონები ჩუმად სხვა-და-სხვა სისულელეს ჩაგჩიჩინებენ, გაძლევენ ცუდ შინაარსის წიგნებსა და ფურცლებს, რომლებშიაც ავად იხსენიებენ ჩვენს კანონებსა და მართვა-გამგეობის წეს-რიგს. თქვენ-კი იმის მაგიერ, რომ ბოროტება არ გააჭაჭანოთ ჩვენს ქვეყანაში, იჯერებთ თქვენისა და სრულიად რუსეთის მტრების სიტყვასაო. შემდეგ გუბერნატორმა უთხრა ხალხს, მტკიცეთ უნდა დაიცვათ კანონი და წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ პასუხის-გებაში იქმნებით მიცემულიო. გლეხებს დამნაშავედ უცვნიათ თავი და განუცხადებიათ, ასეთ უკანონო საქმეს აღარ ჩავიდენთო.

პრესსა

სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტების კავკასიაში დაარსების ამბავმა ადგილობრივი გაზეთებიც აალაპარაკა. ყველა გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან კომიტეტებს და იმედს აცხადებენ, რომ ისინი გულმოდგინეთ შეუდგებიან მუშაობას. ამასთანავე, ჩვენი გაზეთისა არ იყოს, გაზეთები მწუხარებას აცხადებენ, რომ კავკასიაში სამაზრო კომიტეტები არ დააწესეს და აგრეთვე საჭიროდ სთვლიან საგუბერნიო კომიტეტების პროგრამის გაფართოვებას. „ტერსკი ვედომოსტები" სწერენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სამაზრო კომიტეტების დაუარსებლობა ძალიან ავნებს საგუბერნიო კომიტეტების მოღვაწეობას, რადგან თითოეული მაზრა განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობს და საგუბ. კომიტეტს, ძალიანაც რომ ეცადოს, არ შეუძლია ყოველ მხრით დაასურათოს მთელის ოლქების სამეურნეო მდგომარეობაო. ამასვე ამბობს გაზ. „ტიფლ. ლისტოკ."-ი:

> საგუბერნიო კომიტეტებს ძალიან გაუჭირდებათ გზა გაიკვლიონ ისეთ ქვეყნის აღწერილობაში, როგორიც არის ამიერ-კავკასია, სადაც ერთი მაზრა სრულიად არა ჰგავს მეორეს,—არც ბუნებით, არც მცხოვრებთა კულტურის მდგომარეობით. სწორედ ჩვენში იყო საჭირო სამაზრო კომიტეტები და თუ არ დაარსეს, ალბად იმიტომ, რომ ერობა არ არისო და ვინ უნდა მიეწვიათ ამ კომიტეტების წევრებადაო. მაგრამ ეს შიში მეტად გადაჭარბებულია, რადგან ყოველს ჩვენებურს მაზრაში ადვილად მოიძებნებიან გამოცდილი და მცოდნე მოღვაწენი, რომელთა შრომას დიდი ფასი ექნებოდა მთავრობისათვის.

პროგრამის გაფართოვების შესახებ იგივე გაზეთი სამართლიანად შენიშნავს:

> საგანგებო კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამა მეტად ვიწროა, რადგან მხოლოდ ტეხნიურ მხარეებს შეეხება; ხოლო უმთავრესი მნიშვნელობა სოფლის გაჭივრებათა მოსპობის საქმეში საერთო სახელმწიფო მოთხოვნილებათ აქვთ; მაგალითად ასეთს საკითხებს, როგორც არის გლეხობის იურიდიული მდგომარეობა, საფინანსო და გადასახადთა სისტემა და სხვა. თუ ამგვარ საკითხებს არ მიექცა სათანადო ყურადღება, მაშინ ყოველგვარი ცდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის ამაო იქნება.

ბოლოს გაზეთი აღიარებს, რომ საჭიროა ადგილობრივმა კომიტეტებმა ადგილობრივ საჭიროებათაც მიაქციონ დიდი ყურადღება. „მშაკ" ამაების გარდა საჭიროდ სთვლის, რომ ყოველი მხარე ჩვენის სოფლის მეურნეობისა, ყოველი საჭიროება დაწვრილებით იქმნას შესწავლილი და ფაქტებით იქმნას დასაბუთებული.

> ჩვენს აზრსა და სურვილს მაშინ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებაო, სწერს გაზეთი, როდესაც ყოველისფერი ფაქტებით იქნება დამტკიცებული, თუ პროგრამის ყოველი მუხლი სინდისიერად და დაწვრილებით იქნება გამოკვლეული და შესწავლილი და თუ ყოველი ჩვენი მოსაზრება პრაქტიკულად იქნება გონიერი.

ასეთ მოღვაწეობისათვის კი, გაზეთის აზრით, მარტო კომიტეტები არა კმარან: საჭიროა ადგილობრივ სოფლად იმუშაონ საზოგადო მოღვაწეებმა, კერძო კრებები მოახდინონ თავად-აზნაურებმა, კრებები მოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ და აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივმა პრესსამაცო.

წერილი აბასთუმნიდან

გაფუჭებული სანოვაგე.—ქურდ-ბაცაცები.—აბანოები

ამ ორიოდე დღის წინად ერთ მანდილოსანს კალბასი უყიდა ბ—ის მაღაზიაში. როდესაც შინ მისულიყო, ხორცში აუარებელი თეთრი მატლი ენახა. ამ სტრიქონების დამწერმა თითონა ჭნახა ეს მატლით სავსე კალბასი. მისი ნაჭერი მაღაზიაში აღარ აღმოჩნდა. აბა, გაჭრობაც ამასა მიქვიან! ეს ამბავი მოხსენდა სანიტარულ კომისიას.

ამ ბოლოს დროს ქურდობაც გახშირდა აბასთუმანში. ამბობენ, ამ ზაფხულს სამჯერ გაძარცვეს ქურდებმა ავადმყოფები. უკანასკნელად გაჰქურდეს ორი იმერელი ქალი, რომელნიც ერთ ოთახში იდგნენ. სულ ფულიან-ნივთებიანა 700 მან. დაჰკარგეს ამ ქალებმა. საწოლები სულ ჯიბე-ცარიელნი დარჩნენ. რასაკვირველია ეს, ამბავი დაუყოვნებლივ პოლიცას მოხსენდა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

აქ იშვიათად შეხვდებით ავადმყოფს, რომელიც აბანოში არ ბანაობდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველანი ემდურებიან აბანოების პატრონებს. „ბატონო—გაიგონებთ ხშირად ავადმყოფთაგან—ექიმები თბილ წყალში ბანაობას გვიწერენ; მეაბანოვე კი ცივ წყალში გვაბანებს"! ერთმა თავადიშვილმა შემომჩივლა: „სანამ მეაბანოვეს თითო ბანაობაზე თითო აბაზს საჩუქარს არ შევპირდი, მანამ არაფერი გამოვიდა" ასეთ საჩივრების მიზეზი მეაბანოვეთა უვიცობაა: არ იციან, რომ თვითონ უფრო მოიგებენ, ავადმყოფებს რომ რიგიანად მოუარონ.

ემ.

წერილი აბაშიდან

სკოლების სიმცირე.—წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

გადაფურცლავთ რა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, არ შეიძლება არ წააწყდეთ საქართველოს ქალაქ-დაბა-სოფლებიდან მოწერილ ამბებს. მხოლოდ ჩვენი დაბაა გამოკლებული. იშვიათად შეჰხვდებით გაზეთებში ამ დაბიდან გამოგზავნილ წერილს, აქაურ ამბებს.

აბაშაში არსებობს ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, დედათა განყოფილებით, და ერთი სამრევლო-საეკლესიო დედათა სკოლა, მაგრამ ეს სკოლები ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებენ სწავლის მსურველთ. პირველი სასწავლებელი, ადგილის უქონლობისა გამო, ხშირად მთხოვნელთა მეოთხედსაც ვერ იღებს. ადგილი ამ სკოლაში 50—60 მოსწავლისთვისაა, მთხოვნელი-კი მუდამ 150-170-ია. ამ რიგად სწავლის მსურველთა ორი-მესამედი უკანა ბრუნდება ცარიელ-ტარიელი და იწყებს ძველებურ მამა-პაპურ ცხოვრებას. ამასთან მსურველთ კენჭით იღებენ და კენჭი ხომ მხოლოდ ბედნიერს ჰხვდება!... რამდენი ყმაწვილი მინახავს მახლობელ სოფლებიდან, რომელნიც სამჯერ-ოთხჯერ გამოცხადებულან, მაგრამ კენჭი არ შეჰხვედრიათ და დაძმარებულნი უკან დაბრუნებულან. რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ყმაწვილები ყოველ იმედს იკარგავენ, სწავლას ზურგს აქცევენ და სკოლას გაურბიან, იმ სკოლას, რომელმაც სამის-ოთხის წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაჰხადა ღირსი თავის ჭერ-ქვეშ ამოფარებისა. საჭიროა შუამდგომლობა, რომ სასწავლებელთან პარალელური განყოფილება დაარსდეს.

1901 წლის პირველ იანვრიდან დ. აბაშაში, ზოგიერთა მეცადინეობით, დაარსდა უფასო სამკითხველო და წიგნთ-საცავი. მაგრამ საბრა-

---

ხედეთ შიგ. ქართული გაზეთები პატრიოტულის გრძნობისა გამო არაფერს ცუდს არ სწერენ ქართველების შესახებ, ბ. პალმი-კი ყოველთვის ხელის გულზე გადაგიშლით ჩვენის ცხოვრების მარგალიტებს.

ამას წინად გაზეთებში იყო დაბეჭდილი ერთი ამბავი იმის შესახებ, რომ ერთი დიდი ქართული დასი იქნება ტფილისში, რომელიც პროვინციებშიც გამართავს წარმოდგენებსო. ეს ამბავი „ჩერნ. ვ."-მა წაიკითხა და მორთო ყვირილი: თქვენ თუ ბათუმს, ფოთს, ქუთაისს პროვინციალურ ქალაქებს უძახითო, მაშ, აბა, ტფილისი სატახტო ქალაქ გახადეთო? რის სატახტო ქალაქიო, ვისი სატახტო ქალაქიო! თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო! თქვენ სეპარატიზმს ქადაგებთო? და სხ. და სხ.

არავინ იფიქროს, ამას ვიგონებდეთ. გთხოვთ ჩაიხედოთ ამ გაზეთის 168 №-ში. განა მერე ეს პირველი მაგალითია! ამ გაზეთს ჩვენ ისე ვეზარებით, როგორც ნეგრს თეთრ კანიანი ევროპიელი. განსაკუთრებით ვძულვართ გაზეთის ქუთაისელ კორესპონდენტებს. ერთი მაინც ყბას არ გააძრევს, რომ ქართველს არ შეუკურთხოს. ქართული ენა...ის ენააო, ქართული სიმღერა კატის ჩხავილიო, ქართველები მაიმუნებს ჰგვანანო. მხოლოდ ერთი რამ უყვარს ამ ვაჟბატონს ჩვენი... ღვინო. შვილს გასცემს ღვინიისთვის. იმგვარად ჩაიხუტებს და გადაჰკოცნის ღვინიან ბოთლს, როგორც ეშხით მთვრალი თავის სატრფოს; მუდამ თან დააქვს სავსე ბოთლი, ვერ იშორებს, და როდესაც გადაკრულია, მაშინ უფრო გაბედულად ილანძღება *)..

ერთი ძველი ამბავია: კავკასიიდან სალდათი დაბრუნდა რუსეთში და სახლში ჰკითხეს: რა უფრო მოგეწონა საქართველოშიო? სალდათმა უპასუხა:

წერეთელი ნინო
და კახური ღვინო!

ეხლა-კი მარტო ჩვენი ღვინოყოფილა მოსაწონი. ძალიან წავსულვართ უკან! მეტის მეტი იდეალისტი ვარ და ღრმად სწამს პროგრესსი მაგრამ ასეთს ნიშნებს რომ ვხედავ, ეჭვი მებადება ხოლმე: ვაი თუ ვცდებოდე და წინსვლის მაგიერ რეგრესსი იყოს?!

—

წელს შემოდგომაზე ბათუმში საქალაქო არჩევნებია და უეჭველია ბ. პალმი ყველაზედ მეტს კენჭს მიიღებს და ხმოსნად იქნება არჩეული. განსაკუთრებით პოლიტიკოსნი ქართველები ყველანი თეთრებს ჩაუგდებენ. ჩვენ ძალიან გვიყვარს პოლიტიკოსობა და დიპლომატობა, მაგრამ მას აქეთ, რაც ქართველი კაცი გაჩენილა დედამიწაზედ, ჩვენს პოლიტიკოსობას ერთხელაც არ გაუმარჯვნია!..

ჭკვიანი ხალხი ყოფილან ახალციხელები. ყასაბებმა ძაან გააძვირეს ხორცი. არ იქნა და არა, ვერავითარმა არგუმენტმა და ხვეწნა—ვედრებამ ვერ იმოქმედა მათზე. ვა, ძვირი თუა, ნუ იყიდით! ვინ გაძალებთო! უყურეს, უყურეს ახალციხელებმა და ბოლოს ერთს მშვენიერს დღეს შეკრეს პირობა: ნურავინ ვიყიდით ხორცსო. მართლაც, ყასაბებმა ერთი გირვანქა ხორციც ვერ გაყიდეს. მაგრამ გულ მაგრად იყვნენ,—ხვალ მობრძანდებითო, ემუქრებოდენ მუშტრებს. გათენდა მეორე დღე, მესამეც, მეოთხეც, მაინც ხორცს არავინ ყიდულობს. შეშინდენ ყასაბები. ახლა კიდევ პოლიციამ ოქმი შეუყენა,—დამპალი ხორცით ბაზარი აგიყროლებიათო. დადგა მეხუთე დღე, ახალციხელები კიდევ ერბო—კვერცხს მიირთმევდენ და ხორცს არავინ ყიდულობდა. გაწყენთ ერბო—კვერცხიო, ეუბნებოდენ ყასაბები: კუჭის ანთება გაგიჩნდებათო.—ნუ გეშინიათ; ჩვენ არა გვიშავს რა, თქვენ არ დაგემართოთ ჯიბის ანთებაო! უპასუხებდენ ახალციხელები. მეექვსე დღეს მოიხადეს ყასაბებმა ქუდები, შეეხვეწეს მცხოვრებლებს: „მინავათი" ვართ, მობრძანდით, მიირთვით, წინად რომ ვყიდდით, იმაზე დავუკლებთო...

ასეა, თუმცა გაფიცვა და ბრძოლა კარგი არაა, მაგრამ ზოგიერთებისათვის სასარგებლო ყოფილა...

—

მომავალ სექტემბრის 31-ს ორი მეტად საინტერესო ლექცია იქნება წაკითხული ტფილისში. ლექციებს წაიკითხავს „ტფილისის საკრებულოს" დარბაზში თავადი ბორის ვახტანგის ძე ⁂. პირველი ლექციის სათაურია: „ეროვნება და თავად-აზნაურობა" (რა არის ერი?—კეთილშობილური წოდება, როგორც დამცველი და შემნახველი ეროვნულის თავისებურობისა.—წახდა აზნაური—წახდა ერი.—ახალი მოსაზრებანი „მოსკ. ვედ."-სა, თ. მეშჩერსკის და ველიჩკოსი); სათაური მეორე ლექციისა, რომელიც გაგრძელებაა პირველისა, არის შემდეგი: „ერი და ენა" (ენა გარეგანი სახეა ეროვნებისა.—ენის დაკარგვა არ ნიშნავს გადაგვარებას.—საჭიროა მხოლოდ თავად აზნაურობის დაცვა). ამ ლექციების ბილეთები მალე დარიგდება გასაყიდათ. მთელი შემოსავალი გადადებულია ღარიბ აზნაურების სასარგებლოდ.

—

ქუთაისში არსდება კანტორა, რომელიც ყოველ დღე ცნობებს მიაწვდის უსაქმო ყმაწვილებს (ყოფილ თავად-აზნაურებს), თუ რომელს ოჯახში როგორი სადილია მომზადებული. ცნობებს ყველა ნისიათ მიიღებს.

ნიფუა.

---

*) მერე არ სწყენს ჩვენებური ღვინო? აკი ერთს აწყინაო ამას წინად და პეტერბურგში წავიდაო საქიმოთოო! ასოთ ამწყობი.

ლომ, ბედის ანაბარად მიტოვებულმა, ერთ წელს ძლივს გასძლო. მიზეზი?—მიზეზი, რასაკვირველია, ჩვეულებრივი გულ-გრილობა და დაუდევრობა იყო. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ მთელის წლის განმავლობაში კომისიის წევრებს არც ერთხელ არ ჰქონიათ კრება არც წლის დამდევს, როდესაც უნდა განეხილად წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ერთის წლის მოქმედება, მისი ავი და კარგი, მომავალ წლის საწევრო ფული შეეკრიბათ და სხ. სამკითხველო გაუქმდა და ეხლა კვლავ ვიზრუნოთ იმის აღორძინებისათვის.

ზოგიერთა სოფელმა ბევრად გაუსწრო ჩვენ დაბას. ახლა ხან ნიგოითის საზოგადოების გლეხკაცობამ განაჩენით დაადგინა, ადგილობრივ უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ყოველ-წლივ კომლმა ორ-ორი შაური იხადოს. კარგს იზამს კვათანის საზოგადოებაც, (ლ. აბაშა ამ საზოგადოების შუა-გულშია; აქვეა კვათანის საზოგადოების სასოფლო დაწესებულებანიც), რომ ნიგოითელთა მაგალითს მიჰბაძავდეს და მცირე წვლილს გაიღებდეს სასარგებლო დაწესებულებისათვის. საჭიროა, ვაჭრებმაც დახმარება გაუწიონ ამ საქმეს. საქმის მოგვარება მით უფრო ადვილია, რომ სამკითხველოს აქვს წიგნების შკაფები, მაგიდა-სკამები და სხ.

მუხა

თეატრი

ზეგანი (კახეთი). ზეგანის საუფლისწულო მამულში 28 ივლისს გამართულ იქმნა, ქ-ნ ჯაფარიძის მეთაურობით და ბ-ნ აჯამამედოვის რეჟისორობით, ორი წარმოდგენა, ერთი დილით, ერთიც საღამოთი. დილის წარმოდგენა გლეხთათვის გამართეს უსასყიდლოდ. ამიტომ მოიწვიეს სამის სოფლის გლეხობა: ველისციხისა, ახაშენისა და მუკუზნის მცხოვრებნი. (ეს სოფლები თითო ვერსით არის დაშორებული ერთმანეთზე). საღამოს წარმოდგენა კი ველისციხის საზოგადო სასადილოსთვის სასარგებლოდ იყო. როგორც დილით, ისე საღამოთი დიდ-ძალი ხალხი დაესწრო წარმოდგენას. წარმოადგინეს „გატრუნებული იმედები“ და „ახირებული“. მონაწილეობას იღებდნენ კნ. ვაჩნაძისა, ქ-ნნი წინამძღვრიშვილისა, გიჟიმურელისა, წულუკიძისა და მელვინეთ-ხუციშვილისა; თავ. აბაშიძე, ბ-ნნი წულუკიძე, გიჟიმურელი, გედევანოვი და გოგოლაძე. აჯამამედოვმა დილით ითამაშა, ხოლო საღამოთი რეჟისორობდა. საღამოთივე საუცხოვოდ წაიკითხა ლექსები თავ. ნ. ერისთავმა. თვით წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, თუმცა ბევრი პირველად თამაშობდა. ყველანი კარგად იყვნენ მომზადებულნი. წარმოდგენის შემდეგ საუფლისწულო უწყების დიდ დარბაზში გაიმართა ცეკვა-თამაში, ხოლო შემდეგ საერთო ვახშამი. შემოსავალი 350 მანეთს აღემატებოდა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ბ-ნნი: ვ. ნ. ჯაფარიძე, თავ. ვ. ა. ანდრონიკაშვილი და ველისციხის მკურნალი თავ. ჯანდიერი, რომელთაც დახმარება გაუწიეს. საქმის მოთავეებს აზრადა აქვთ კიდევ გამართონ წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. იმედია, ამ განზრახვას არ უღალატებენ და უეჭველად შეასრულებენ. როგორც შევიტყეთ, ამ წარმოდგენაში ნ. ერისთავიც მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე აჯამამედოვიც. აურჩევიათ „თამარ ცბიერი“.

შემთხვევით დამსწრე

ძველი-გავაზი (კახეთი). კვირას, 21 ივლისს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს, აქაურ წიგნთ-საცავის ფონდის გასაძლიერებლად, ა. ცაგარლის 2 მოქმედებიანი კომედია „ბაიყუში“. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ პირველმა წარმოდგენამ დიდ-ძალი ხალხი მოიზიდა და საუცხოვოდაც ჩაიარა: მაყურებელთა აღტაცებასა და მხიარულობას საზღვარი არა ჰქონდა. სანუგეშებელი ის არის უფრო, რომ გლეხობაზე ამ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომლის მიზეზი უმთავრესად გამართველთა დაუღალავი შრომა და შეგნებული თამაში იყო.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნთ ო. ა. სიღრაშვილმა, ნ. ჩხაკაძემ და ა. ს., ბ-ნთ ივ. მათიკაშვილმა, ივ. ყიფიანმა, მ. მურვანიშვილმა, ივ. ვახვახიშვილმა და ვ. ანდიაშვილმა. საუცხოვოდ შეასრულა ივ. მათიკაშვილმა თავისი როლი. დანარჩენნი ძალიან კარგად მომზადებულიყვნენ. იმედია, სცენის მოყვარენი ამით არ გაათავებენ საქმეს და კიდევ გამართავენ წარმოდგენას ამ ჩვენ მიყრუებულ სოფელში.

მიხაკო

უცხოეთის წვრილი ამბები

გენერალ გალიფეს მოგონებიდან. შემდეგ ამბავს უვიამბობს საფრანგეთის ცნობილი გენერალი გალიფე:

„მე არ შემიძლიან პირდაპირ მოგახსენოთ, სად მოხდა ეს ამბავი, მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ საფრანგეთში არ მომხდარა, და ერთი ვინმე მეფის სასახლეში კი მოხდა.

სასახლეში მორიგ ოფიცერთან ამხანაგი მოვიდა და ერთი ფოტოგრაფიული სურათი მოუტანა. თუმცა უზნეო შინაარსისა არ იყო სურათი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, საინტერესო იყო.

მორიგეების ოთახში ყველამ გაშინჯა ეს სურათი. საღამოთი, რაღაც შემთხვევის გამო, ეს უამბეს „მეფეს“, რომელმაც მოისურვა სურათის ნახვა.

ოფიცერს ეს სურათი დაუბრუნეს მხოლოდ მეორე დღეს დილით, და ის-ის იყო, ჯიბეში უნდა ჩაედო, რომ ერთი სასახლის კარის ქალთაგანი მივიდა და ჩუმათა სთხოვა, რომ იმისთვის ეთხოვებინა ეს სურათი. როგორც ქალმა სთქვა, იმას უნდოდა თავის ქმრისთვის (ვსთქვათ, გენერალ ანატოლისთვის) ეჩვენებინა, რომელიც ბევრს იცინებსო. რა ღუნანაც ქალი ჩააცივდა, ოფიცერმა უარი ვერ უთხრა და სურათი მისცა.

მხოლოდ გენერალ ანატოლის სრულიადაც არ ეჩვენა სასაცილოდ ეს სურათი და მეორე დილითვე იმისი ცოლი მოვიდა, ოფიცერი გამოიხმო და სთხოვა, რომ ყველაფერი თავის თავზე მიეღო, და თუ საჭიროება მოითხოვდა, ეამტკიცებინა, რომ იმას (ოფიცერს) კი არ მიუცია ქალისთვის სურათი, ჩუმად ჩაუდო ჯიბეში.

ოფიცერი დაჰპირდა, რომ საქმეს მოაწყობს, თუმცა ჯერ არ იცოდა, რას და როგორ მოაწყობდა. როგორც მორიგთა ოთახში დაბრუნდა, ამხანაგებს შესჩივლა თავისი დარდი. ამ დროს ოთახში შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა; „გენერალი ანატოლი გთხოვთ მობრძანდეთ იმასთან მეორე ოთახში“.

ყველამ ხარხარი დაიწყო. ოფიცერი გამოვიდა მეორე ოთახში და იმის ამხანაგებმა კარები ნახევრად ღია დასტოვეს.

„— იცით თქვენ,—სასტიკად დაიწყო გენერალმა, —რას გაბრალებთ თქვენ ჩემი ცოლი! როგორ გაჰბედეთ და ამის ნება მიეცით თავს! მე ეხლავე მეფეს მოვახსენებ და, დარწმუნებული იყავით, რომ დიდ ხანს ვერ იპარპაშებთ ოფიცრობით. რას იტყვით თქვენ ამაზე თავის გასამართლებლად?“

„— თქვენთვის სწორე არ უთქვამთ, გენერალო: მე არა ვყოფილვარ.

„— მაშ ვინ იყო? მაშ ჩემი ცოლი მარტო თქვენზე რად მითითებს?

ოფიცერს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში და უპასუხა:

„— თქვენმა მეუღლემ ვერ გაბედა, დამნაშავე დაესახელებინა, თუ კი შეიძლება ამ ხუმრობის ავტორს დამნაშავე ვუწოდოთ...

„— როგორ, თქვენ დაიცინებით კიდეც! თქვენ გავიწყდებათ, რომ ჯერ მხოლოდ ობერ-ოფიცერი ხართ და დივიზიის გენერალს ელაპარაკებით! დამისახელებთ თუ არა დამნაშავეს?!

„— თუ მიბძანებთ, რა გაეწყობა... ეს იყო თითონ „ის“.

„— როგორ თუ თითონ! (უცბად დარბილდება.), ნუ თუ თითონ „ის“ არის! ჰო, თუ თითონ ის არის... ეს... სულ სხვა საქმეა. მე ვწუხვარ, ყმაწვილო კაცო, იმაზე, რაც მე თქვენ გითხარით, ამიტომ რომ, თუ ეს იმან ჩაიდინა, მაშ საქმე სულ სხვანაირად არის.

ამხანაგ ოფიცრებს ეს ესმოდათ და ძლივს იჭერდნენ სიცილს.

ეს უამბეს თითონ „იმას“ (ესე იგი ნაპოლეონს), იმან ბევრი იცინა და გაჯავრებაც ვერ მოახერხა იმის ცოლის მწამებელ ოფიცერზე.

ეს ქალი კი, უნდა მოგახსენოთო,—უმატებს გალიფე,—ძალიან „კეთილი გულის ადამიანი“ იყოო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს სერბთა საელჩოში პარაკლისი გარდაიხადეს სერბიის მეფის დაბადების დღის დღესასწაულის გამო; პარაკლისს დაესწრნენ სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრნი.

ვირცბოლოვო. დიდი ჰერცოგი მეკლენბურგ შვერინისა პეტერბურგში წავიდა.

ვარშავა. ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სამორკვლო ჩაჰყარეს 150 სტუდენტის საცხოვრებლის შენობისა.

ხარკოვი. გუბერნატორს ბევრი მოლოცვის დეპეშები მოსდის. მოვიდა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხინი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საგანგებო საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს 300,000 მან. სესხის გამო სოფელ ლიახოვოში სულით ავადმყოფთა ახალშენის გასაფართოებლად.

ქალაქის ახლო ცეცხლმა გაანადგურა საქონლის რამდენიმე საწყობი; ზარალი ასიათასი მანეთია.

ლენივანი. გლეხები იწყებენ სკოლებისკენ მიმავალ გზებს. ფილგოეტში მახლობელ სამრევლოებიდან მოიყარა თავი 15,000 კაცმა სამღვდელოებით, ჯვრებით და დროშებით და გადობენ სადმრთო საგალობლებს.

ლონდონი. ახალშენებმა შეთანხმებით შემდეგი უნდა იხადონ ყოველ წლივ: ავსტრალიის გადაიხდის 200,000 გირვანქა სტერლინგს, კაპის ახალშენი—50,000, ახალი ზელანდია—40,000, ნატალი—35,000. კანადასთან ცალკე მორიგდებიან.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება მაზედ, რომ განგრძობილ იყოს 1905 წლის პირველ იანვრამდე დროებითი კანონი შესახებ მიწერ-მოწერის შემოღებისა პოლონურს ენაზე პოლონეთის სამეფოს საკრედიტო დაწესებულებაში იმ პირობით, რომ ამ ვადის შემდეგ სხვა ვადა აღარ იქმნას მიცემული.

გუშინ დაბრუნდა პეტერბურგში დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

დღეს სადგურ დუდერგოფზე დედოფალის მარიამ თეოდორეს ასულის დასწრებით აკურთხეს ბარაკი იმათთვის, ვისაც კუ აქვთ.

3 აგვისტო

ხარკოვი. პოლიცმეისტერ ბესსონოვს ჭრილობა მეორედ შეუხვიეს. ტყვიას ძვალს ახლო გაუვლია, თუმცა ძვლის ზედა პირს არ შეხებია. ჭრილობის შეხორცებას ერთი თვე დასჭირდება. მცხოვრებთა ყველა წრეებში მზრუნველობითი ყურადღება სჩანს.

გურზუფი. 17 აგვისტოს მიტროპოლიტი ანტონი საბანაოდ გურზუფში მოვა. სეზონს დიდი სიცოცხლე ეტყობა.

ბელგრადი. 16 აგვისტოს უნდა მოვიდეს ბელგიის საბჭოს პრეზიდენტი.

დიუსელდორფი. აქ მობძანებულმა იმპერატორმა, ბურგომისტრის სიტყვის პასუხად აღნიშნა ძლიერი ენერგია, რომელმაც შექმნა ეკონომიური წარმატება ქალაქისა; ამასთანავე უსურვა ქალაქს წყალობა უფლისა მომავალში განვითარებისათვის, იმ მშვენიერ მშვიდობიან პირობათა შორის, რომელნიც ევროპაში დამყარდნენ და რომელნიც—იმპერატორი იმედოვნებს,—დიდ-ხანს გასტანს.

ვილლეფრანში. ძეგლი დაუდგეს ჯარის კაცებს, რომელნიც 1870 წ. ომში მოკლულ იქმნენ. გენერალმა ანდრემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ჩვენ განზრახვა არა გვაქვს ვადიდოთ ომი, რომელიც ჩვენის დამარცხებით გათავდა; ჩვენ ვიცით მისი შედეგი; მაგრამ ჩვენ პატივსვცემთ სამშობლოსათვის თავდადებულთ. ის ჯარის კაცები, რომელთ სადიდებლად ეს ძეგლი იხსნება, წარმოადგენენ ჩვენის მომავლის ჯარის კაცის ტიპს; ის ჯარის კაცი დაუბრუნებს საფრანგეთს მის მატერიალურ დიდებას; იგი გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულით სამშობლოსადმი, რომლის დასაცავად ფიცი მიიღო და რომელსაც უნდა შესწიროს თვით თავისი რწმენანი. ამ ჯარის კაცმა უნდა იძიოს შური და, აი, ამ შურის მაძიებელთათვის ვმართავთ ამ დღესასწაულს.“ ამ სიტყვამ თანაგრძნობა გამოიწვია. ნადიმის დროს ანდრემ ურჩია ქალაქ ბელფორის დელეგატებს ქალაქში შეინახონ 1870 წლის სახელ-განთქმული დროშა იმ დრომდე, ვიდრე სამშობლო კვლავ არ გამოიწვევს თავის შვილთ საომრად.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა, ნება მისცა ფინანსთა მინისტრს თავის შეხედულებისამებრ აკრძალოს საზღვარგარეთულ იმ ფასიან ქაღალდების შემოტანა რუსეთში, რომელთა გასაღებას მავნებლად იცნობს სახელმწიფო ინტერესებისათვის.

ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა სამხედრო საბჭოს დადგენილება, რომლით ჯარში ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ უნდა იხელმძღვანელონ 1893 წლის წესებით.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამე 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

ფოთისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ლექსები
განდეგილისა
ავტორის სურათით,
ფასი ათი შაური,
იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—7)

ახალი წიგნი
შ. არაგვისპირელი
წიგნი მეორე
ფასი 40 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გერის მოედანზე, ყაფხანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა
ახალი სტამბა
ძმათა თავართქილაძეებისა,
რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდან.
მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზე. სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს
სწრაფად და თავის დროზე
ამ სტამბასთან იქნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.
ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექმნება, ვთხოვთ დღეიდან მოგვმართონ ტფილისის ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе. (0—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 Августа, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).